საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში, ხუდადოვის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.21.06.859; N81.21.06.906); საერთო ფართობი შეადგენს: 2 831 მ<sup>2</sup> -ს. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). გამწვანებული ტერიტორიების რუკით კი სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და ნაწილზე ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. „ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. განაშენიანების რეგულირების გეგმით დამტკიცებული საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)- 25 504 კვ.მ.; საკულტო ზონა (2 000 კვ.მ.). ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კი იყო შემდეგი: კ-1=0,5 (12 750 კვ.მ.); კ-2=0,8 (20 400 კვ.მ.); კ-3=0,3 (7 650 კვ.მ.). წარმოდგენილი წინადადებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება ეხება N23 და N24, ნაკვეთებს რომლის ჯამური ფართობი შეადგენს 2301 კვ.მ.-ს. განაშენიანების რეგულირების გეგმით წარმოდგენილი ფუნქციური ზონირება წარმოადგენს საცხოვრებელ ზონა 1-ს (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ს (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1); კორექტირების მიზანია მოხდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და საპროექტო ტერიტორიას დაემატოს N81.21.06.906 საკადასტრო ერთეული; ასევე, N81.21.06.093 და N81.21.06.094 საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად შეიქმნა



N81.21.06.773. აღნიშნულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N81.21.06.773) კი დაემატა მიწის ნაკვეთები N81.21.06.787 და N81.21.06.763 და მიღებულ იქნა ამჟამინდელი N81.21.06.859 საკადასტრო ერთეული. შესაბამისად, შეიცვალა არეალიც, რის გამოც ხდება კორექტირება და საპროექტო წინადადებით განისაზღვრება ახალი გამიჯვნის სქემა; ნაკვეთი N1 (ნაკვეთი N23) - აღნიშნული ნაკვეთისთვის განვითარების სახეობა (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) რჩება უცვლელი. დაკორექტირდა გამიჯვნის სქემა, შესაბამისად შეიცვალა ფართობი. ფუნქციური ზონები დარჩა უცვლელი, ვიანიდან შეიცვალა ნაკვეთმა კონფიგურაცია და გადავიდა სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2). ნაკვეთი N2 (ნაკვეთი N24) - საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება 3 სართულიანი მრავალფუნქციური კომერციული/საოფისე შენობა. აღნიშნული ნაკვეთისთვის შეიცვალა განვითარების სახეობა და ზონის ცვლილებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-ის (სსზ-3) შესაბამისად მიენიჭა მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, საოფისე შენობა) სტატუსი; ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე: მთლიანი საპროექტო ტერიტორია: 28 034 კვ.მ მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის ჯამურად კ-1=0,5 13 419.4 კვ.მ. კ-2=0,8 23 489.8 კვ.მ. კ-3=0,3 7 999.1 კვ.მ. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები საპროექტო მიწის N23 და N24 ნაკვეთებისთვის: ნაკვეთი N23 (საპ. N1) - ფართობი 605 კვ.მ. სზ-1 ფართობი 524 კვ.მ. კ-1=0,5 283 კვ.მ. კ-2=0,8 440 კვ.მ. კ-3=0,4 210 კვ.მ რზ-2 ფართობი 81 კვ.მ. კ-1=0,2 19 კვ.მ. კ-2= - კ-3=0,8 65 კვ.მ ნაკვეთი N24 (საპ. N2) - ფართობი 2 226 კვ.მ. სსზ-3 ფართობი 1343 კვ.მ. კ-1=0,7 994 კვ.მ. კ-2=3,0 4083 კვ.მ. კ-3=0,2 269 კვ.მ სზ-1 ფართობი 602 კვ.მ. კ-1=0,5 325 კვ.მ. კ-2=0,8 506 კვ.მ. კ-3=0,4 241 კვ.მ რზ-2 ფართობი 193 კვ.მ. კ-1=0,2 46 კვ.მ. კ-2= - კ-3=0,8 154 კვ.მ ტზ-1 ფართობი 88 კვ.მ. კ-3=0,1 9 კვ.მ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 6 აგვისტოს N012121849 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 8 ივნისის N01211593666 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N81.21.06.859 და N81.21.06.906 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032123139-03 19.08.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01211382040-67 (N01211792141-67; N01212101149-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

6. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032123923-03 - 27.08.2021)



საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე(საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332). საერთო ფართობი შეადგენს 7301 კვ.მ-ს. საპროექტო ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ნაკვეთი, საიდანაც ხდება ტერიტორიაზე მისასვლელი გზის მოწყობა, რასთან დაკავშირებითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაფიქსირებული აქვს დადებითი პოზიცია. აღნიშნული გზა უკავშირდება ვ. თედიაშვილის ქუჩას, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება თბილისი-კოჯრის ქუჩას, საიდანაც ხდება სატრანსპორტო კავშირი ცენტრთან. დანარჩენი მხრიდან ტერიტორია შემოსაზღვრულია კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთებით. „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N81.02.21.331; N81.02.21.332; N81.02.21.276) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N376 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). წარმოდგენილი პროექტით დაგეგმილია N81.02.21.331; 81.02.21.276, 81.02.21.332 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების 10 ნაკვეთად დაყოფა და არსებული ფუნქციური ზონირებით, საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)-ით განვითარება. 9 ნაკვეთზე განთავსდება დაბალი ინტენსივობის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ხოლო ნაკვეთი N10 იქნება გამოყოფილი სამანქანო გზისთვის და ტროტუარისთვის, რომელიც დატვირთული იქნება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). შესაბამისად, არსებული ზონის ცვლილება მოხდება მხოლოდ გზის ნაწილში და საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) შეიცვლება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით. წარმოდგენილი პროექტის გზათა ქსელში გათვალისწინებულია კოჯორი-შინდისის ქალაქგეგმარებითი პროექტის სარეკომენდაციო გზები. საპროექტო კოეფიციენტები: კ-1 - 0.5; კ-2 - 0.8; კ-3 - 0.4 შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლის მაჩვენებელია 15მ., 3 (სამი) სართული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 17 აგვისტოს N012122990წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმისდამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 19 აგვისტოს N01212311892(N01212022719) წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების*

რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032123923-03 27.08.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01211533361-67 (N01211941374-67; N01212172794-67; N01212251086-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.024), საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 19 მაისის N1193 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032123925-03 - 27.08.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტციძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, მუხისა და ნეკერჩხლის ქუჩებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.10.108.006.311; 01.10.18.006.195; 01.10.18.006.183; 01.10.18.006.132; 01.14.17.001.195; 01.14.17.001.166; 01.14.17.001.106; 01.14.17.001.187; 01.10.18.006.198; 01.10.18.006.191; 01.14.17.001.159; 01.10.18.006.181; 01.14.17.001.173; 01.14.17.001.109; 01.14.17.001.212; 01.14.17.001.110; 01.14.17.001.214; 01.14.17.001.215; 01.14.17.001.216; 01.14.17.001.207; 01.14.17.001.208; 01.14.17.001.209; 01.14.17.001.210; 01.14.17.001.211; 01.14.17.001.213; 01.14.17.001.203; 01.10.18.006.176). ტერიტორიის საერთო ფართობია 82 272 კვ.მ. რელიეფი ქანობიანია. საპროექტო ტერიტორიას სატრანსპორტო წვდომა აქვს ლისის ქუჩიდან, რომელიც უკავშირდება მ. მაჭავარიანის ქუჩას, მთავარ გზას. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). კორექტირების შედეგად, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში მოხდა მიწის ნაკვეთების ოპტიმალური გადანაწილება და ზედდების (მაგ: M1 და P) აღმოფხვრა საპროექტო არეალის გარე პერიმეტრის უცვლელად, რამაც გამოიწვია მიწის ნაკვეთების ფართობების მეტობით ცვლილება, მხოლოდ B6 მიწის ნაკვეთის ფართობი შემცირდა დაახლოებით 20 კვ.მ-ით, რასაც გავლენა არ მოუხდენია კოეფიციენტის ცვლილებაზე. ამასთანავე, დაკორექტირდა O1 ტერიტორია, რომელზეც ოფისებისა და პარკინგის ნაცვლად განთავსდება აუზი და თაუნჰაუსის ტიპის საცხოვრებელი სახლები (ორი ნაგებობა). ასევე, კორექტირებული პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე 324 ღია და 85 მიწისქვეშა სადგომის ნაცვლად, მოეწყობა 282 ღია და 72 მიწისქვეშა ავტოსადგომი. კორექტირების შედეგად, არ ხდება სხვა არსებითი ცვლილება შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში და გულისხმობს მხოლოდ მიწის ნაკვეთების ფართობების მცირედით კორექტირებას. კერძოდ: B-1 ნაკვეთი იყო 2150,0 კვ.მ - გახდა 2179,0 კვ.მ. B-2 (2190,0 კვ.მ) გახდა 2232,0 კვ.მ; B-4 (1923,0 კვ.მ) გახდა 1930,0 კვ.მ; B-5 (2282,0 კვ.მ) გახდა 2328,0 კვ.მ; B-6 (4085,0 კვ.მ) გახდა 3725,0 კვ.მ; B-7 (4772,0 კვ.მ) გახდა 4799,0 კვ.მ; B-8 (4698,0 კვ.მ) გახდა 4745,0 კვ.მ; B-10 (778,0 კვ.მ) გახდა 791,0 კვ.მ; T-2 (293,0 კვ.მ) გახდა 292,8,0 კვ.მ; T-4 (295,0 კვ.მ) გახდა 295,2 კვ.მ; T-5 (295,0 კვ.მ) გახდა 295,4 კვ.მ; T-7 (295,0 კვ.მ) გახდა 295,4 კვ.მ; T-10 (934,0 კვ.მ) გახდა 1031,4 კვ.მ;

T-11 (365,0 კვ.მ) გახდა 472,5 კვ.მ; TP-11 – 62.0 კვ.მ; O-1 (3934,0 კვ.მ) გახდა 4638.0 კვ.მ; ნაკვეთი N1 (16717,0 კვ.მ) გახდა O2 - 4638.0 კვ.მ; ნაკვეთი N2 (1150,0 კვ.მ) გახდა P - 1182.0 კვ.მ; ნაკვეთი N3 (1230,0 კვ.მ) გახდა R1 - 16 569.0 კვ.მ; M-1 (3232,0 კვ.მ) გახდა 3248.0 კვ.მ; K-1 (5222,0 კვ.მ) გახდა 5446.0 კვ.მ; კოეფიციენტების საშუალო მაჩვენებლები ჯამურად საპროექტო ნაკვეთისთვის შეადგენს: კ1- 0.2 (13 195კვ.მ); კ2-0.8 (67 160 კვ.მ); კ3- 0.7 (46 130 კვ.მ). საპროექტო ტერიტორიის საანგარიშო ჯამური ფართი 82 272კვ.მ-ია. გამოყოფილი მიწის ნაკვეთების ჯამური ფართი 65 625კვ.მ; გზების და ქუჩების ჯამური ფართი 16 647 კვ.მ; შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე და სართულიანობა - 45 მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 12 აგვისტოს N01212242632წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.024), საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 19 მაისის N1193 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032123925-03 27.08.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N012114236-67 (N01212143001-67; N01211664089-67; N01212241181-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად*

8. ქალაქ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 2 დეკემბრის N20/709 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032123930-03 - 27.08.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, კრწანისის ჩიხი N2ა და N2გ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.018.052; N01.18.06.018.053). ტერიტორიის ფართობი 7 9562 კვ.მ. დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი ეხება N01.18.06.018.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს (ფართობი: 6960 კვ.მ.). კერძოდ, „ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის N235 განკარგულებით მიეცა თანხმობა აღნიშნული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების

მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). „ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 2 დეკემბრის N20/709 ბრძანებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორია დაყოფილი იყო ოთხ სექტორად, სადაც დაგეგმილი იყო 7, 8, 9, 11 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები სექტორების მიხედვით (მიწის ნაკვეთები, რომელსაც ეხება კორექტირება). N1 სექტორი - 2269,7 კვ.მ კ1= 0.36 კ2 = 2,4 8 სართული N2 სექტორი - 2944,5 კვ.მ. კ1= 0.25 კ2 = 2,5 11 სართული N3 სექტორი - 1002,1 კვ.მ. (არ ეხება ცვლილებას) კ1= 0,36 კ2 = 2,0 7 სართული N4 სექტორი - 1738,2 კვ.მ. კ1= 0.35 კ2 = 2,9 9 სართული გამწვანების კოეფიციენტი თოთოეული ნაკვეთისათვის დადგენილი არ იყო, ჯამურად მინიჭებული იყო 800 კვ.მ. გამწვანების ფართობი. „ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის N235 განკარგულებით განისაზღვრა ხელშემწყობი ღონისძიებები, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) – 7,4 -ით. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, წარმოდგენილია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც გულისხმობს (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.052) მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტისა და სართულიანობის მატებას. ერთიანდება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით N1, N2 და N4 სექტორები. 8-9-11 სართულიანი შენობების ნაცვლად განთავსდება სამი 20+2 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო N01.18.06.018.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შენარჩუნდება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირებია გეგმით უკვე განხორციელებული 7 სართულიანი შენობა-ნაგებობა. „ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ. 405159340) მიმართ დამატებითი/დამაზუსტებელი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N363 განკარგულებით გაიცა დამატებითი/დამაზუსტებელი პირობები ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ 01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. რომლის მიხედვითაც: „კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის და არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობისა და პარამეტრების მიმართ არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ავტოფარეხების სართო რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 75 (სამოცდათხუთმეტი) ერთეულით“; წარმოდგენილი პროექტით დაცულია ზემოაღნიშნული განკარგულებებით დადგენილი მოთხოვნები. საპროექტო პარამეტრები: სექტორი N1 – 6960 კვ.მ. (ს/კ 01.18.06.018.052) სზ-6 კ1= 0.5 – 3 480 კვ.მ. კ2 = 7.4 – 51

504 კვ.მ. 20+2 სართული კვ = 0.1 – 348 კვ.მ. 78 ავტოსადგომი სექტორი N2 – 1002 კვ.მ. (ს/კ 01.18.06.018.053) სზ-6 არ ეხება ცვლილება და დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი. კ1= 0.4 კ2 = 2.0 7 სართული კვ = 0.1 20 ავტოსადგომი ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ.თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 2 დეკემბრის N20/709 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია. არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე ხევის გამაგრებასა და საპირკვლის მოწყობასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნას წარმოდგენილ გეოლოგიურ დასკვნაში მითითებული „დასკვნები და რეკომენდაციები“.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 2 დეკემბრის N20/709 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032123930-03 27.08.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01211194241-67 (N01211553562-67; N01211681323-67; N0121228622-67; N01212301494- 67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

9. ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.94.418) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032123931-03 - 27.08.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.94.418). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 7 300 კვ.მ. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.94.418) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N441 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულია ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით დაგეგმილია არსებული ფუნქციური ზონის სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2)

და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). საპროექტო ტერიტორია დაყოფილია 9 მიწის ნაკვეთად, 7 მათგანს მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სადაც განთავსდება ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ერთ მიწის ნაკვეთს (461 კვ.მ.) მინიჭებული აქვს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სადაც დაგეგმილია სკვერის მოწყობა. ხოლო 1338 კვ.მ.-ს მიენიჭება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სადაც მოეწყობა საავტომობილო გზა. წარმოდგენილი პროექტით დაცულია საცხოვრებელი ზონა 1-სთვის (სზ-1) დადგენილი ქალაქთმშენებლობითო პარამეტრები. სიმაღლე და სართულიანობა განისაზღვრება 15 მეტრით/ 3 სართული. შენობის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: N1 მიწის ნაკვეთი - ფართობი: 1381 კვ.მ. სზ-1 კ-1=0,5 კ-2=0,8 კ-3=0,3 N2 მიწის ნაკვეთი - ფართობი: 813 კვ.მ. სზ-1 კ-1=0,5 კ-2=0,8 კ-3=0,3 N3 მიწის ნაკვეთი - ფართობი: 804 კვ.მ. სზ-1 კ-1=0,5 კ-2=0,8 კ-3=0,3 N4 მიწის ნაკვეთი - ფართობი: 573 კვ.მ. სზ-1 კ-1=0,5 კ-2=0,8 კ-3=0,3 N5 მიწის ნაკვეთი - ფართობი: 563 კვ.მ. სზ-1 კ-1=0,5 კ-2=0,8 კ-3=0,3 N6 მიწის ნაკვეთი - ფართობი: 563 კვ.მ. სზ-1 კ-1=0,5 კ-2=0,8 კ-3=0,3 N7 მიწის ნაკვეთი - ფართობი: 805 კვ.მ. სზ-1 კ-1=0,5 კ-2=0,8 კ-3=0,3 N8 მიწის ნაკვეთი - ფართობი: 461 კვ.მ. რზ-2 კ-1=0,2 კ-2= - კ-3=0,8 N9 მიწის ნაკვეთი - ფართობი: 1338 კვ.მ. ტზ-1 კ-1= - კ-2= - კ-3=0,1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 23 აგვისტოს N0121235157 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 19 აგვისტოს N01212311848 (N01211883162) წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.94.418) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032123931-03 27.08.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N0120210993-67 (N01202831276-67; N01203531868-67; N01210741606-67; N01211381560-67; N01211742060-67; N01212081901-67; N01212251374-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

10. ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N27, N23ა, N23, N29-ში; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქი თბილისი, დიდი დილომი, ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.957; N01.72.14.014.209; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032124214-03 - 30.08.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N27, N23ა, N23, N29-ში; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქი თბილისი, დიდი დილომი, ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.957; N01.72.14.014.209; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.512). საპროექტო არეალის ფართობი ჯამში შეადგენს: 7416 კვ.მ. საპროექტო არეალში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია: 6327 კვ.მ. თვითმმართველის ბალანსზე არსებული ტერიტორიის ფართობია: 233 კვ.მ, ხოლო დაურეგისტრირებელი არეალის ფართობია: 856 კვ.მ, რომელიც დაზუსტებული იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების სტადიაზე; საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით მდებარეობს ფარნავაზ მეფის გამზირი, აღნიშნულ ტერიტორიაზე განვითარებულია ყველა სახის საინჟინრო ინფრასტრუქტურა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), გამწვანებული ტერიტორიების რუკით - შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება; საპროექტო წინადადებით აღნიშნული ტერიტორიის დაგეგმარება იგეგმება 2 (ორი) მიწის ნაკვეთად, სადაც განთავდება 2 (ორი) შენობა-ნაგებობა. საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია: კ1-0,5 კ2- 4,6 კ3- 0,3 საცხოვრებელი -75%; კომერციული და სხვა ფუნქცია-25%; სართულიანობა: 16-20 სართული. საპროექტო არეალით ხდება ნაწილობრივ დაურეგისტრირებელ და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე არსებულ მიწის ნაკვეთზე გადასვლა (საკადასტრო კოდი: N 01.72.14.014.512), რომელზეც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება, ხოლო საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ტერიტორიის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) განვითარება, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით არ მოხდეს აღნიშნულ არეალში არსებული ზონების ცვლილება. N01.72.14.014.512 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და N01.72.14.014.959 საკადასტრო ერთეულს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ სივრცეზე დაედოს საჯარო სერვიტუტი საფეხმავლო ტროტუარისთვის; ასევე, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით მიმდებარე ტერიტორიები, რომელზეც უნდა განხორციელდეს ზონის ცვლილება, შეყვანილ იქნას არეალში. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს დაგეგმილ საგზაო და საფეხმავლო ინფრასტრუქტურას უნდა განესაზღვროს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), საფეხმავლო ინფრასტრუქტურას (ტროტუარებს) კი საჯარო სერვიტუტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 23 აგვისტოს N0121235152 წერილის შესაბამისად, რეკომენდებულია საპროექტო ტერიტორიაზე შესასვლელად გათვალისწინებული იყოს არაუმეტეს 1 (ერთი) სამანქანო შესასვლელ/გამოსასვლელი. სამანქანო შესვლა/გამოსვლა განხორციელდეს ტერიტორიის ჩრდილოეთიდან, საპროექტო გზიდან (კათოლიკოს აბრამ I-ის ქ.), რომელიც გაივლის საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.735 და ა.შ. ნაკვეთების მომიჯნავედ. შესასვლელის სიგანისთვის გათვალისწინებულ იქნას 3,5მ. გასათვალისწინებელია, რომ სამსახური მიზანშეწონილად არ



მიიჩნევს ფარნავაზ მეფის გამზირიდან სხვა დამატებითი შესასვლელ/გამოსასვლელების მოწყობას საპროექტო ტერიტორიაზე შესასვლელად. აღნიშნული გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 24 აგვისტოს N01212362607 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.72.14.014.959, N01.72.14.014.957, N01.72.14.014.932, N01.72.14.014.209, N01.72.14.014.086, N01.72.14.014.920 საკადასტრო ერთეულებზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე, დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 12 აგვისტოს N61-01212241019 წერილის შესაბამისად, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 19 ივლისის N01212001415-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის ქუჩა N27, N23ა, N23, N29-ში; ქალაქი თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისში, დიდ დილოში, ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.957; N01.72.14.014.209; N01.72.14.014.932; N01.72.14.014.086; N01.72.14.014.920; N01.72.14.014.959; N01.72.14.014.512) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032124214- 03 30.08.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N0121164118-67 (N0121182413-67; N01211893627-67; N01212001415- 67; N01212091832-67; N012121616-67; N01212311095-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

11. ქალაქ თბილისში, წყნეთში, ე.წ. „წუმის ბაღებში“ (ნაკვ. N68, N68ა, N68ბ, N68გ, N77) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.333; N01.20.01.010.334; N01.20.01.010.069; N01.20.01.010.024; N01.20.01.010.119; N01.20.01.010.199; N01.20.01.010.201; N01.20.01.010.202; N01.20.01.010.222; N01.20.01.010.280) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032124238-03 - 30.08.2021)



საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტინძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღებში“ (ნაკვ. N68, N68ა, N68ბ, N68გ, N77) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.333; N01.20.01.010.334; N01.20.01.010.069; N01.20.01.010.024; N01.20.01.010.119; N01.20.01.010.199; N01.20.01.010.201; N01.20.01.010.202; N01.20.01.010.222; N01.20.01.010.280). რესტრირებული მიწის ნაკვეთები ჯამური ფართობია: 6737კვ.მ. საპროექტო არეალის მთლიანი ფართობი: 12 418კვ.მ. აქედან საპროექტო ნაკვეთების ჯამური ფართობი: 6092კვ.მ. საპროექტო არეალში შედის 10 (ათი) რეგისტრირებული და ასევე დაურეგისტრირებელი ტერიტორია; მიმდებარე ტერიტორიებზე გვხვდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, სრული საინჟინრო ქსელებით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სატყეო ზონა; შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება 10 (ათი) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება; საპროექტო წინადადების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია: კ-1-0,5; კ-2-0,8; კ-3-0.4 საპროექტო შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა 3 სართული; შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრი; საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სატყეო ზონა; საპროექტო არეალში, რომელზეც ვრცელდება სატყეო ზონა, ზონის ცვლილება არ იგეგმება მაგრამ ამ ტერიტორიაზე გაივლის საავტომობილო გზა. საპროექტო ტერიტორიის ორ ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.010.280 და N01.20.01.010.222), აღნიშნული გზა დაიტვირთება სერვიტუტით; საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), დაგეგმილი საავტომობილო გზის ნაწილში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 1 აგვისტოს N0121222275 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 11 აგვისტოს N01212232510 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 10 აგვისტოს N61-0121222499 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 08 ივლისის N01211893461-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღებში“ (ნაკვ. N68, N68ა, N68ბ, N68გ, N77) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.20.01.010.333; N01.20.01.010.334; N01.20.01.010.069; N01.20.01.010.024;*

**N01.20.01.010.119; N01.20.01.010.199; N01.20.01.010.201; N01.20.01.010.202; N01.20.01.010.222; N01.20.01.010.280)** და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032124238-03 30.08.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01211393545-67 (N01211893461-67; N01212022267-67; N01212151369-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

12. „ქალაქ თბილისში, ვასო გომიაშვილის ქუჩა N63-სა და N99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის“ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032124239-03 - 30.08.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვასო გომიაშვილის ქუჩა N63-სა და N99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009). რეგისტრირებული ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 16 438 კვ.მ-ს. დღეის მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიასა და მის დასავლეთით მდებარეობს სასაწყობე-საწარმოო შენობა-ნაგებობები. აღნიშნული შენობები ფუნქციადაკარგულია და საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია მათი დემონტაჟი. ჩრდილოეთის მხარეს ესაზღვრება მდინარე ოკადირისხევი და უსისტემოდ განვითარებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. სამშენებლო მოედანი წარმოადგენს სწორი რელიეფის მქონე არეალს. სატრანსპორტო კავშირი კი ხორციელდება ვ. გომიაშვილის ქუჩიდან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), საცხოვრებელი ზონა (სზ) და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). „ქალაქ თბილისში, ვასო გომიაშვილის ქუჩა N63-სა და N99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N132 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ტერიტორიის საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება და სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. საპროექტო კომპლექსი შედგება სამი განსხვავებული სართულიანობის მქონე ბლოკებისგან. სართულიანობა მერყეობს 1 სართულიდან 15 სართულამდე. ავტოსადგომების რაოდენობა რეგულირდება ტერიტორიაზე მოქმედი ტერიტორიულსტრუქტურული ზონის - პერიფერიული ზონის მოთხოვნების (პზ) და დაახლოებით შეადგენს 209 საპარკინგე ადგილს. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად განსაზღვრულია დაახლოებით 9000 კვ.მ-ს გამოყოფა. ბავშვთა გასართობი ზონებისთვის გამოყოფილი ფართი დაახლოებით 1000 კვ.მ.- ს წარმოადგენს. გამწვანებული და ღია სივრცეების არეალი მოიცავს მინიმუმ 5500 კვ.მ-ს. რაც შეესაბამება განსაზღვრულ მოთხოვნებს. კომპლექსში გეგმარდება შიდაკვარტალური მყუდრო რეკრეაციული

ლოკაციები. ასევე, საპროექტო წინადადებით ხდება არსებული 2 საკადასტრო ერთეულის ხელახალი გამიჯვნა ფართების ცვლილებით. საპროექტო არეალში შედის მცირედი დაურეგისტრირებელი ფართი, საპროექტო წინადადებით ხდება აღნიშნული ფართის ადგილმონაცვლეობა ფართობის უცვლელად (87 კვ.მ.). აღნიშნულთან დაკავშირებით დაფიქსირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დადებითი პოზიცია. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი: 16 438 კვ.მ, ხოლო დაურეგისტრირებელი ფართი წარმოადგენს 87 კვ.მ-ს. ნაკვეთი N1 - მიწის ფართობი 5 871 კვ.მ. კ-1=0,3 (2 000 კვ.მ.); კ-2=2,5 (14 910 კვ.მ.); კ-3=0,3 (1 790 კვ.მ.); ნაკვეთი N2 - მიწის ფართობი 10 567 კვ.მ. კ-1=0,3 (3 000 კვ.მ.); კ-2=2,5 (26 840 კვ.მ.); კ-3=0,3 (3 120 კვ.მ.); საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); (16 438 კვ.მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 19 აგვისტოს N01212311849 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 20 აგვისტოს N0121232320 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი. ყოვლივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ვასო გომიაშვილის ქუჩა N63-სა და N99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.016.004; N01.10.10.016.009) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

13. ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: **N81.08.31.744; N81.08.31.587; N81.08.31.331**) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032124240-03 - 30.08.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისში, დიდი ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N81.08.31.744; N81.08.31.587; N81.08.31.331) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე; ფართობი: 95 873 კვ.მ. როგორც საპროექტო, ასევე საკვლევ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ბუნებრივი ლანდშაფტი. ნაკლებადაა ხე-ნარგავები, საპროექტო ტერიტორია მიმდებარედ არსებულ მთვარ გზას, დ. აღმაშენებლის ქუჩას უკავშირდება გრუნტის გზით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3);

გამწვანებული ტერიტორიებით ასევე შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). საპროექტო წინადადებით იგეგმება ტერიტორიის მიწის ნაკვეთებად დაყოფა და მათი შიდა გზათა ქსელით დაკაშირება, უმეტეს ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) შენარჩუნება და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3), სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ზონებად დაყოფა. ტერიტორია ვითარდება კანონმდებლობით დასაშვები რეგლამენტების შესაბამისად, განთავსდება სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლები, მოწესრიგდება საინჟინრო და საგზაო ინფრასტრუქტურა. ასევე, პროექტის ფარგლებში იგეგმება სარეკრეაციო სივრცეების (სკვერის ) მოწყობა. საპროექტო ტერიტორიის დაყოფა იგეგმება 86 ნაკვეთად, სარეკრეაციო ზონა 3-ში (რზ-3)- 83 ნაკვეთი, რომლის 81 ნაკვეთი განვითარდება სანაშენებლოდ, ხოლო ორი ნაკვეთი სარეკრეაციოდ; სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2)- 2 ნაკვეთი; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – 1 ნაკვეთი. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: არსებული ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). საპროექტო ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 3(რზ-3); სარეკრეაციო ზონა 2(რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). მიწის ნაკვეთის ფართობი: 95 873 კვ.მ განაშენიანების ფართობი დაახლოებით: რზ-2 კ-1=0,2; კ-2=---; კ-3=0,8; რზ-3 კ-1=0,3; კ-2=1,0; კ-3=0,6; ტზ-1 - კ-1= --; კ-2= --; კ-3= 0,1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 მაისს N0121134418 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 14 მაისის N01211342816 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

*კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და გამოითქვა მოსაზრება, სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის განხილვის გადადების შესახებ.*

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს ბიუროს სხდომაზე.*

14. „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის, თავდაცვის სამინისტროს ობიექტის, (ყოფილი დოსააფის) აღმოსავლეთით; ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“-ს შენობის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.14.003.787; N01.17.14.003.002; N01.17.14.003.790) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032124241-03 - 30.08.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტომემ. მისი თქმით, საპროექტო

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და, „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 სექტემბრის N21.1207.1365 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 8,7-ით; ბ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა (მიწის ფართის უცვლელად საკადასტრო საზღვრების კორექტირების შემთხვევაში, ამ ახალ მიწის ნაკვეთზე) სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების და მიჯნის ზონის დაუცველად; გ) შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე; ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 52 ერთეულით; დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე; ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისგან გათავისუფლებით; ვ) ქ. თბილისის პროკურატურის მიერ წარმოდგენილი, ამჟამინდელი მდგომარეობით კლიენტთა სიის, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 1 სექტემბრის N21 სხდომის ოქმში აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების გარდა, სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში სხვა პირთა მიმართ ფართის ან ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულებები შესრულებულ იქნას შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ; ზ) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ ქ. თბილისში, ჟ. შარტავას ქ N1-ში (ს/კ 01.10.13.015.114) არსებულ მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელი მშენებლობის პროცესში, მათ შორის, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის პროექტირებისა და ფართების ე.წ. „განშლის“ ეტაპზე, მაქსიმალურად გაითვალისწინოს ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის ამავე დანართით გადასაცემი ფართები და ამავე პირებსა და ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს, ან/და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ ან/და მასთან აფილირებულ კომპანიებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შორის გაფორმებული შეთანხმებებით/ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფართების მდებარეობა და სხვა ინდივიდუალური მახასიათებლები. 2. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.13.015.114) შესაბამისი წილი საკუთრებაში გადაეცეს ამ განკარგულების დანართი N3-ით გათვალისწინებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მათ შორის შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ (ს/ნ 204460957), თითოეულს სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ამავე მიწის ნაკვეთზე ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში (შენობა-ნაგებობებში) მათთვის გადასაცემი ფართის პროპორციულად, ამავე დანართით გათვალისწინებული ფართობების შესაბამისად; 3. დაევალოს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო), ამ განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, გააფორმოს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულება/ხელშეკრულებები ამ განკარგულების დანართი N3-ით გათვალისწინებულ, მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად საქართველოს პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობილ პირებთან/მათ უფლებამონაცვლებთან (კანონმდებლობით დადგენილი წესით იდენტიფიცირების შემთხვევაში) ამ განკარგულების დანართი N4-ის შესაბამისად და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ ამ განკარგულების დანართი N5-ის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილებ(ებ)ის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში; 4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში/ხელშეკრულებებში საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს: ა) აღნიშნული მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.13.015.114) შესაბამისი წილის ნებისმიერი ფორმით გასხვისების ან/და უფლებრივად დატვირთვის (მათ შორის, იპოთეკა) აკრძალვა/შეზღუდვა, ამავე მიწის ნაკვეთზე, ამ განკარგულებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის ფარგლებში შესაბამისი შენობა-ნაგებ(ებ)ის მშენებლობის ნებართვის გაცემამდე; ბ) აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.13.015.114), ამ განკარგულებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის ფარგლებში ასაშენებელი შენობა-ნაგებობ(ებ)ის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ან/ და მის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირ(ებ)ის მიერ პროექტირებასთან/მშენებლობის ნებართვის მიღებასთან/შეთანხმებული პროექტის კორექტირებასთან/მშენებლობის ნებართვის ცვლილებასთან/ ინდივიდუალური ფართების განაწილებასთან (ე.წ. „განშლასთან“) და მათ საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, შესაბამის პრივატიზების ხელშეკრულებაზე/ხელშეკრულებებზე ხელმოწერით, უპირობო, წინასწარი თანხმობის გაცხადება; გ) ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავისი ქმედებით ან უმოქმედობით ხელი არ შეუშალონ (არ შეაფერხონ) მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.13.015.114) ამ განკარგულებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის განხორციელებას, არცერთ ეტაპზე, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის მოპოვების, მშენებლობის განხორციელების, ექსპლუატაციაში მიღების, ასევე, აღნიშნული სამშენებლო პროექტის ფარგლებში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ან/ და სხვა შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის პროცესში; დ) მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.13.015.114) ამ განკარგულებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის განხორციელების მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ან/და მის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირ(ებ)ის მიერ, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან და საჯარო რეესტრთან ან/და სხვა შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციის/ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული პირების თანხმობის საჭიროების შემთხვევაში, მათ მიერ შესაბამისი (წერილობითი) თანხმობის გაცემა; ე) ამ განკარგულების მე-4 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნტებით გათვალისწინებული პირობების გარდა, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიმართ საპრივატიზებო პირობას წარმოადგენდეს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების/ვალდებულებების შესრულება. 5. შესაბამისი პრივატიზების ხელშეკრულების/ხელშეკრულებების საფუძველზე მიწის ნაკვეთის შესაბამის წილზე, ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული შესაბამისი პირ(ებ)ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ, მიწის ნაკვეთის აღნიშნულ წილზე საჯარო რეესტრის ამონაწერში მოიხსენება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 18 აგვისტოს N21.1141.1285 განკარგულების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მიმართ რეგისტრირებული შეზღუდვა; 6. თუ ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული პირ(ებ)ის მიერ შესაბამის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არ განხორციელდება ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, შესაძლებელია აღნიშნული პირ(ებ)ისათვის გადასაცემად ამავე დანართით გათვალისწინებული შესაბამისი ფართის მესაკუთრედ განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი და აღნიშნულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ; 7. თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაცია (ჯამურად - 1 522 628 აშშ დოლარი) ამ განკარგულების დანართი N2-ით განსაზღვრული პირების მიმართ, კანონმდებლობით დადგენილი წესით იდენტიფიცირების შემთხვევაში, მოხდეს „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ცვლილებებით) განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად, ამავე მემორანდუმის მიხედვით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფისა“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში შექმნილი სპეციალური მიზნობრივი ანგარიშიდან.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

24. ქ. თბილისში, არჩილ ამაღლობელის ქ. №24-ში (ს/კ №01.14.08.007.064) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორის“ (ს/კ 405168946) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032121768-03 05.08.2021)

საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - კომისია) 2019 წლის 26 დეკემბერს N10/0119360107- 01 განცხადებით მიმართა (დამატებითი დოკუმენტაცია წარმოდგენილია განცხადებებით: N10/012001563-01, 15.01.2020; 19/01200791568-01, 19.03.2020; 12/01200861972-01, 26.03.2020; 19/01200901476-01, 30.03.2020) შპს „იქსორმა“ (ს/კ 405168946) და მოითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქ. N24 (ს/კ N01.14.08.007.064) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება. კომისიამ 2021 წლის 21 ივლისის სხდომაზე განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ ამაღლობელის ქ. N24 (ს/კ N01.14.08.007.064) 2010 წლის 13 ოქტომბერს გაიცა №01/2318 ბრძანებით მშენებლობის ნებართვა. ბ) არსებული ქალაქმშენებლობითი პირობების ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე: ბ.ა) მიწის ნაკვეთის



განაშენიანების კოეფიციენტი - კ-1 = 0.5 ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი - კ-2 = 0.8 ბ.გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი კ-3 = 0.4 გ) დაზარალებულებთან დაკავშირებით, განაცხადის მიხედვით, აღნიშნულ მშენებლობას ჰყავს რამდენიმე დაზარალებული ოჯახი, რომელთათვისაც ჯამში გადასაცემია 2229 კვ.მ. ფართი. დ) დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილია შპს „იქსორის“ და უძრავი ქონების 5 მესაკუთრეს შორის 15.03.2019 წელს ნოტარიულად გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების ასლი. აღნიშნული ხელშეკრულების დანართის მიხედვით, მიწის მესაკუთრეები სხვადასხვა მისამართებზე მიიღებენ ჯამში: 1829.23 კვ.მ. და 8 ავტოსადგომს. ხოლო ფულადი სახით შპს „იქსორი“ აღნიშნულ პირებს გადასცემს თანხას ჯამში - 9000 აშშ დოლარის ოდენობით. ე) შპს „იქსორის“ მიერ წარმოდგენილია 4 ფიზიკურ პირთან (ლაშა ჭელიძე, მერი ობოლაძე, ნიკოლოზ ნიჟარაძე, ბექარ ბახტაძე) გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვინაიდან ამ პირებს გააჩნიათ გარკვეული უფლებები მისამართზე - არჩილ ამაღლობელის ქ. N24 მდებარე ობიექტთან დაკავშირებით, შპს „იქსორი“ გადასცემს მათი მოთხოვნის სანაცვლოდ ფართებს ჯამური ოდენობით 775 კვ.მ., 2 ავტოსადგომს და 12 000 აშშ დოლარს. ვ) ასევე, წარმოდგენილია სამმხრივი შეთანხმება შპს „იქსორს“, ლაშა ჭელიძეს და უძრავი ქონების მესაკუთრეებს შორის (14.03.2019), სადაც აღნიშნულია, რომ ლაშა ჭელიძე კისრულობს ვალდებულებას, 1 თვის ვადაში გამოიხმოს ერთ-ერთი მესაკუთრის მიმართ აღძრული სამოქალაქო ან/ და სხვა ნებისმიერი სახით, ნებისმიერ ინსტანციაში/უწყებაში წარდგენილი სარჩელი/საჩივარი. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება: ა) ვალდებულების სახით გასაცემი შემდეგი ოდენობის ფართები: 1432.33 კვ.მ და 7 ავტოსადგომი - უძრავი ქონების 5 მესაკუთრეს (ნათელა ესტატიშვილი, ნელი ნათელაშვილი, თინა კვირიკაშვილი, მზია ფიოდოროვა, ეკა დავითულიანი) მიმართ არსებული ვალდებულება გადასაცემი საცხოვრებელი ფართების და ავტოსადგომების სახით; 180 კვ.მ. - კერძო პირის - მერი ობოლაძის მიმართ არსებული ვალდებულება საცხოვრებელი ფართის სახით; 125 კვ.მ. - კერძო პირის - ბექარ ბახტაძის მიმართ არსებული ვალდებულება საცხოვრებელი ფართის სახით; 320 კვ.მ და 1 ავტოსადგომი - კერძო პირის - ლაშა ჭელიძის მიმართ არსებული ვალდებულება საცხოვრებელი ფართის და ავტოსადგომის სახით; კომისიის წინაშე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კერძო პირის - ნიკოლოზ ნიჟარაძის მიმართ არ დასტურდება რაიმე სახის ვალდებულება (150 კვ.მ. და 1 ავტოსადგომი). სულ: 2057, 33 კვ. მ (ავტოსადგომების გარეშე) ბ) ვალდებულების სახით გასაცემი თანხის ჯამური ოდენობა: 21 000 აშშ დოლარი. გ) ვალდებულებებთან დაკავშირებით განაცხადში განმარტებულია, რომ ხსენებულ საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი უნდა აეშენებინა ამხანაგობა „სალო 1“- ს, თუმცა მათ მიერ აღნიშნული ვალდებულება შესრულებული ვერ იქნა. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით ამხანაგობას ჰყავს არაერთი დაზარალებული პირი, რომელიც დასაკმაყოფილებელია ფართებით. დ) საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით განსაზღვრული 1 აკრძალვა (ერთ-ერთ მესაკუთრეს ეკრძალება კუთვნილი წილის გასხვისება) და 2 ყადაღა. შპს „იქსორი“ ითხოვს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას: ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას 4.8-მდე; ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა დამშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე გარკვეული პირობები დადგინდეს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ 2006 წლის რედაქციის (შემდგომში - „წესები“) შესაბამისად, კერძოდ: ბ.ა)

კოეფიციენტის დათვლის ნაწილში გათვალისწინებული იყოს „წესების“ მე-18 მუხლი და კ2-ის გაანგარიშებისას არ იქნას შეყვანილი აივნები, ტერასები, კიბის უჯრედები, ლიფტები და სხვა. „წესების“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განსაზღვრავს, შენობა ნაგებობის სრული სართულების და მანსარდის (1,6 მ-ის ზემოთ) ჯამური ფართის რა რაოდენობა არის დასაშვები შესაბამისი ტერიტორიის თითოეულ კვადრატულ მეტრზე, ამასთან, მანსარდის ფართი არ დაიანგარიშება ერთხანაიანი საცხოვრებელი სახლებისათვის ზონებში სზ-1 და სზ-2. ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, სართულების ფართი გამოითვლება შენობის გარე კონტურის ზომებით, აივნების, ტერასების, კიბის უჯრედების, ლიფტებისა და ლიფტის ჰოლის ფართების გამოკლებით. ბ.ბ) მეზობელ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული ფრაგმენტით გადასვლის შესაძლებლობა მეზობლის თანხმობის შემთხვევაში დადგენილ იქნეს „წესების“ შესაბამისად. პროექტის რენტაბელურობისათვის აუცილებელია, რომ შენობა-ნაგებობის მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში განთავსებისას გამოყენებულ იქნას ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N: 8-13 გადაწყვეტილების დებულებები. ბ.გ) შენობის სიმაღლის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნას „წესების“ 21-ე მუხლით გათვალისწინებული შინაარსი. დაინტერესებული პირი, ასევე, აღნიშნავს, რომ პროექტის რენტაბელურობის გადამწყვეტი ფაქტორია „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ნაწილობრივი გამოყენება. კერძოდ, დაინტერესებული პირი მზაობას გამოთქვამს, მშენებლობის ნებართვა მიიღოს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, გარდა იმ ნორმებისა, რომელიც ეხება ღიობების გამოჭრის, მიჯნის ზონაში შენობა-ნაგებობის განთავსებისა და გაბარიტების განსაზღვრის ნაწილს. არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ ამალაშვილის ქ. N24 (ს/კ N01.14.08.007.064) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75- ე მუხლის „ე.კ“ ქვეპუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 21 ივლისის N15 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა: 1. შპს „იქსორს“ (ს/კ 405168946) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში (N10/0119360107-01, 26.12.2019; N10/012001563-01, 15.01.2020; 19/01200791568-01, 19.03.2020; 12/01200861972-01.26.03.2020; 19/01200901476-01, 30.03.2020) მისამართზე ქ. თბილისი, არჩილ ამალაშვილის ქ. N24 (ს/კ N01.14.08.007.064) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები: ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს - (კ-2)- 3,9-ით; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობით, სიმაღლის განმსაზღვრელი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე; გ) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის

შესაბამისად, სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვებია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2021 წლის 21 ივლისის N15 სხდომის ოქმით გათვალისწინებულ დაზარალებულთა მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ. ამასთან, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ კარკასულ მდგომარეობაში, ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით. დ) ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართზე - ქ. თბილისი, არჩილ ამალაშვილის ქ. N24 (ს/კ N01.14.08.007.064) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს და დაინტერესებულ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრიდან შესაბამისი უძრავი ქონებების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად. ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ; ე) დაინტერესებულმა პირმა - შპს „იქსორი“ (ს/კ 405168946) - სარეალიზაციო ფართობების განკარგვა მოახდინოს ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტს გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

25. „ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ბაგები რეზიდენსი“-ს (ს/კ 405446209) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი #31-ში (ს/კ 01.14.07.001.044) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032124978-03 – 06.09.2021)

საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრადის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმისმასივის II კვარტლისმიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ბაგები რეზიდენსი“-ს (ს/ნ 405446209) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი #31-ში (ს/კ01.14.07.001.044) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 6 სექტემბრის N21.1216.1378 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა: თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ბაგები რეზიდენსი“-ს (ს/ნ 405446209) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრადის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმისმასივის II კვარტლისმიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი #31-ში (ს/კ 01.14.07.001.044) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება (კ-2) 3.5-დან 4,4- მდე; ბ) მოხდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არაუმეტეს 3 საცხოვრებელი სართულის გადამეტებით; გ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლის განმსაზღვრელი და ავტოფარეხების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები, ამასთან ავტოფარეხების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 30 ერთეულით; დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ისე, რომ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში საზოგადოებრივი სივრცის (კომერციული და საოფისე ფართის) წილი განისაზღვროს არანაკლებ 10%-ის ოდენობით; ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე; ვ) შპს „ბაგები რეზიდენსი“-მ (ს/ნ 405446209) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 280 003 (ორასოთხმოცი ათას სამი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების

თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეთევი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბალები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფარტმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; ზ) შპს „ბაგებირეზიდენსი“-მ (ს/ნ 405446209) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშეწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას; თ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშეწყობი ღონისძიებების გაუქმებას; ი) შპს „ბაგებირეზიდენსი“-მ (ს/ნ 405446209) მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს მისამართზე - ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი #31-ში (ს/კ 01.14.07.001.044) არსებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებასთან და კორექტირებული არქიტექტურული პროექტით მშენებლობასთან დაკავშირებით.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

26. „ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ზოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „დემაქსი ჯიქიაზე“-ს (ს/ნ 405284106) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N2ბ (ს/კ N01.14.05.008.154) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032124978-03 – 06.09.2021)

საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე

მუხლისა და „ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრამის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმისმასივის II კვარტლისმიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „დემაქსი ჯიქიაზე“-ს (ს/ნ 405284106) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N2ბ (ს/კ N01.14.05.008.154) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 6 სექტემბრის N21.1215.1379 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „დემაქსი ჯიქიაზე“-ს (ს/ნ 405284106) მიმართ მისამართებზე -ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრამის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმისმასივის II კვარტლისმიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N2ბ (ს/კ N01.14.05.008.154) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2 - 5.0 - დან 5.9 -მდე; ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლის განმსაზღვრელი და ავტოსადგომების ოდენობის მიმართ არსებული მოთხოვნები. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს არსებული მშენებლობის ნებართვით (11.11.2019 წ.ბრძ. N4743783) განსაზღვრული ოდენობით; გ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოხდეს არაუმეტეს 2 სართულის გადამეტებით; დ) შპს „დემაქსი ჯიქიაზე“-მ (ს/ნ 405284106) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 339 948 (სამასოცდაცხრამეტი ათას ცხრაასორმოცდარვა) - აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; ე) შპს „დემაქსი ჯიქიაზე“-მ (ს/ნ 405284106) „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას; ვ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას; ზ) შპს „დემაქსი ჯიქიაზე“-მ (ს/ნ 405284106) მშენებლობის ნებართვის აღების ეტაპზე წარმოადგინოს: ზ.ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N2ბ (ს/კ N01.14.05.008.154) არსებულ მიწის ნაკვეთის შესაკუთრე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნოტარიულიად დამოწმებული თანხმობები მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებასთან და კორექტირებული არქიტექტურული პროექტით მშენებლობასთან დაკავშირებით; ზ.ბ) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს/ პირის მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არიქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

27. „ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და სს „ვენჯორჯიას“ (ს/ნ 404885335) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ N 35 (ს/კ N 01.10.10.025.050) არსებულ გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge) გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამში მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032124978-03 – 06.09.2021)

საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის



დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და სს „ვენჯორჯიას“ (ს/ნ 404885335) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ N 35 (ს/კ N 01.10.10.025.050) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 6 სექტემბრის N21.1214.1380 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და სს „ვენჯორჯიას“ (ს/ნ 404885335) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. #6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ. ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმისამსივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N 01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ N 35 (ს/კ N 01.10.10.025.050) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება (კ-2) 8,0-მდე. ამასთან, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს 0,7-ით, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს 0.1-ით; ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლის განმსაზღვრელი და ავტოფარეხების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები, მასთან ავტოფარეხების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 150 ერთეულით; გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ისე, რომ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში საზოგადოებრივი სივრცის (კომერციული და საოფისე ფართის) წილი განისაზღვროს არანაკლებ 10%-ის ოდენობით; დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე; ე) სს „ვენჯორჯია“-მ (ს/ნ 404885335) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - თანხა 2 411 257 აშშ (ორი მილიონ ოთხასთერთმეტი ათას ორას ორმოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი“ (ს/კ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბალები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად; ვ) სს „ვენჯორჯია“-მ (ს/ნ 404885335) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან

არაუგვიანეს 6 თვის ვადას; ზ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

28. „ქ. თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, III მიკრო/რაიონი (ნაკვეთი 25/62; 25/63) (ს/კ N 01.14.02.025.251) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ბი.აი.ჯის“(ს/კ 401983396) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032124978-03 – 06.09.2021)

საკითხი წარმოადგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „ქ.თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, III მიკრო/რაიონი (ნაკვეთი 25/62; 25/63) (ს/კ N 01.14.02.025.251) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ბი.აი.ჯის“(ს/კ 401983396) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 6 სექტემბრის N21.1213.1383 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მისამართზე - ქ.თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, III მიკრო/რაიონი (ნაკვეთი 25/62; 25/63)(ს/კ 01.14.02.025.251) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე: ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 6,7-ით. ბ) შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვაავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე; გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო ინფრასტრუქტურაზე სატრანსპორტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასების გარეშე; დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენის, ასევე, საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებისგან გათავისუფლებით; ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე წარმოადგინოს მზიდი კონსტრუქციის მდგრადობის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა და განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (საკრებულოს №12-032124625-03 – 03.09.2021)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე მარიამ კვერნაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული ქონების პრივატიზების წესი“ (შემდგომი - წესი), რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის, ასევე, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტების მიზნით, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული ქონების (შემდგომში - ქონება) პრივატიზების წესსა და პირობებს. წესის დამტკიცების მიზნითა დედაქალაქის იერსახის გაუმჯობესება და მისი შენარჩუნების მიზნით, დადგენილებით დამტკიცებული რეგულაციებით პრევენციული ღონისძიებების გატარება. წესის მიხედვით რეგულაცია ეხება საცხოვრებელ ბინებს, რომელიც მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში მიიღო განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის, ასევე საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტების მიზნით, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით. წესი ვრცელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის, ასევე საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტების მიზნით, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისათვის გადაცემულ მხოლოდ იმ ქონებაზე, რომლის პრივატიზებაც ვერ განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, არანაკლებ ორჯერ გამართულ საჯარო ან ელექტრონული აუქციონის გზით. წესი არ ზღუდავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ამ წესით განსაზღვრული ქონების პრივატიზება განხორციელოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების შესაბამისად. წესის მე-3 მუხლით განისაზღვრება ქონების პრივატიზების წინაპირობები, რომლის მიხედვითაც თუ ქონების განკარგვა ვერ განხორციელდა საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების გზით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) უფლებამოსილია მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ამ წესის შესაბამისად ქონების პრივატიზების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქონების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას


იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. სააგენტო უფლებამოსილია პირვანდელ მესაკუთრესთან გააფორმოს თანამშრომლობის მემორანდუმი. წესის მე-4 მუხლის მიხედვით ქონების პრივატიზება განხორციელდება შემდეგი პირობებით: ქონების პრივატიზებაზე ფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება: მუნიციპალიტეტს, ქონების საკუთრებაში გადმომცემ კომპანიას და საბოლოო შემძენს შორის. ქონების საპრივატიზებო საფასური დაეფუძნება საექსპერტო/აუდიტორულ დასკვნას. ქონების შემძენი, სამმხრივ ხელშეკრულებაშივე გაიწერება რომ არის საბოლოო შემძენი (და არა ის კომპანია, რომელმაც თავიდან გადმოსცა მუნიციპალიტეტს ეს ქონება). ქონების პრივატიზების შემთხვევაში, საბოლოო შემძენის მიერ კომპანიისათვის გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ქონების საპრივატიზებო საფასურის 3 პროცენტს; ქონების პრივატიზების შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასური მუნიციპალიტეტს უნდა ჩაერიცხოს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში. უძრავი ქონების პრივატიზება შესაძლებელია განხორციელდეს პირვანდელ მესაკუთრეზე, ამ დადგენილებით განსაზღვრული პირობებით, რა შემთხვევაშიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას (წარმოდგენილი სააგენტოს მიერ) და პირვანდელ მესაკუთრეს შორის ფორმდება ქონების პრივატიზების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

*კომისიის წევრმა ვახტანგ შაქარიშვილმა ყველა საკითხის კენჭისყრისაზე თავი შეიკავა.*

*ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

სხდომის თავმჯდომარე



რევაზ სოხაძე